ხელშეკრულება №3

ქ. ხულო **24 აპრილი 2019წ.**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ხულოს საფეხბურთო კლუბი ,,ხიხანი'' (შემდეგში „შემსყიდველად“ წოდებული) წარმოდგენილი **დირექტორის თემურ ბოლქვაძის** სახით და მეორე მხრივ, შპს „ინტელექტ-აუდიტი“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის №SARAS-F-583489) (შემდეგში „მიმწოდებლად“ წოდებული) წარმოდგენილი მისი **დირექტორის ივანე გაჩეჩილაძის** სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. შესყიდვის ობიექტია აუდიტორული მომსახურეობის შესყიდვა, შემდგომში „მომსახურება“. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით (SPV 79200000).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

2.1. შემსყიდველი ვალდებულია:

2.1.1. შეუქმნას **„მიმწოდებელს“** სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პირობები.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.3.1. შეფასება განახორციელოს შეფასების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს იმ მეთოდოლოგიასა და მიდგომებს, რომლებიც ცალსახად არის დაფიქსირებული საერთაშორისო შეფასების კომიტეტის (International valuation Standarts Committee) მიერ შეფასების საერთაშორისო გამოცემაში.

2.3.2 შეფასებისას შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შემოთავაზებული მიდგომა და ჩასატარებელი სამუშაოთა აღწერა თითოეული ტიპის საგანზე.

მუხლი 3. მომსახურების გადაცემა

3.1 შეფასებაზე დასკვნის წარდგენა ხდება შემსყიდველის უფლებამოსილ პირზე შემსრულებლის წარმომადგენლის მიერ გადაცემით ან ფოსტით.

3.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების თარიღად ითვლება შემსყიდველისათვის შეფასების დასკვნის წარდგენის თარიღი.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადები

4.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა დადგენილია 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

4.2 შემსრულებლის მიერ ვალდებულების შესასრულებლად ვადის გაგრძელება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, იმის მიუხედავად იგი მოხდა თუ არა შემსრულებლის მიზეზით, წარმოადგენს ვადის გაგრძელების საფუძველს იმ პერიოდამდე, სანამ არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

მუხლი 5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს **150 (ას ორმოცდაათი)** ლარს დღგ-ის ჩათვლით.

5.2 მომსახურებაზე საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 მიმწოდებელი შეფასებას ახორციელებს მხოლოდ შეფასების პროცესში წარდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტების სისწორესა და დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობაზე პასუხისმგებელი არიან ამ დოკუმენტების შემქმნელი ან ხელმომწერი პირები.

6.3 ნებისმიერ სარჩელსა და პრეტენზიაზე შემსრულებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია ამ ხელშეკრულების თანახმად მიღებული ან მისაღები თანხის ოდენობით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

7.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ა(ა)იპ ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანი"

ქ. ხულო. წერეთლის ქუჩა №4

სს „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი : LBRTGE22

ა/ნ: GE08LB0115121902217001

ს/ნ: 448 050 288

დირექტორი: თემურ ბოლქვაძე

Khulo Football Club Khikhani

Digitally signed by Khulo Football Club Khikhani
Date: 2019.04.24 12:14:05 +04'00'

შპს „ინტელექტ-აუდიტი"

ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. #6

სს „თიბისი ბანკი".

ბანკის კოდი:TBCBGE22.

ა/ა: GE17TB7630136080100002

ს/ნ 404 906 973

დირექტორი ივანე გაჩეჩილაძე

LTD INTELLECT-AUDIT

Digitally signed by LTD INTELLECT-AUDIT
Date: 2019.04.24 13:12:47 +04'00'